მეორე სვეტის ბიუჯეტი აღემატება 53 მილიარდ ევროს, რომლის მიზანია ბრწყინვალე კვლევების შედეგების გადაქცევა ინოვაციურ გადაწყვეტილებებად, რომელიც მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებას გლობალური გამოწვევების დაძლევის გზით გააუმჯობესებს. ეს დააჩქარებს ერთის მხრივ, მწვანე პოლიტიკის და მეორეს მხრივ ციფრული ტრანსფორმაციის პროცესებს და ხელს შეუწყობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

მარია გაბრიელი, კომისარი ინოვაციების, კვლევის, კულტურის, განათლებისა
და ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებში

## სვეტი II
## გლობალური გამოწვევები და ევროპული ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობა

სვეტი „გლობალური გამოწვევები და ევროპული ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობა“ ეფუძნება კვლევითი და ინოვაციური აქტივობების კლასტერებს, რაც ხელ შეუწყობს მაქსიმალურად გაზარდოს ინტეგრაცია და სინერგია შესაბამის თემატურ სფეროებში და ამასთანავე უზრუნველყოფს მაღალი და მდგრადი ზეგავლენა რესურსებზე.

ჰორიზონტ ევროპის ბიუჯეტი გამოყოფს 53 მილიარდ ევროზე მეტს II სვეტისთვის:

- ჯანდაცვა;
- კულტურა, კრეატიულობა და ინკლუზიური საზოგადოება;
- სამოქალაქო უსაფრთხოება საზოგადოებისთვის;
- ციფრული ტექნოლოგიები, ინდუსტრია და სივრცე;
- კლიმატი, ენერგია და მობილურობა;
- კვება, ბიოეკონომიკა, ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობა და გარემო;

## კლასტერი 1: ჯანდაცვა

**პოლიტიკა და სტრატეგია**

ამ კლასტერის მიზნებია  მოქალაქეების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესება და დაცვა ახალი ცოდნის მიღების გზით განურჩევლად ასაკისა, ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავება  გენდერული ასპექტების გათვალისწინებით დაავადებების პრევენციის, დიაგნოსტიკის, მონიტორინგის, მკურნალობისა და განკურნების მიზნით.

შემდგომი მიზნები მოიცავს ჯანდაცვის ტექნოლოგიების დეველოპმენთს, ჯანმრთელობის რისკების შემცირებას, მოსახლეობის დაცვას, ჯანმრთელობისა გაუმჯობესებასა და კეთილდღეობის ხელშეწყობას მთლიანობაში და ასევე სამსახურში.
დაბოლოს, პირველი კლასტერი ასევე მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემები გახადოს უფრო რენტაბელური, სამართლიანი და მდგრადი, მოახდინოს სიღარიბესთან დაკავშირებული დაავადებების პრევენცია და დაძლევა და ასევე უზრუნველყოს პაციენტების მონაწილეობა და თვითმართვა.

ამ კლასტერის მოსალოდნელი ზემოქმედება მოცემულია ჰორიზონტ ევროპის სტრატეგიულ გეგმაში.

**ინტერვენციის სფეროები**
ჯანმრთელობა მთელი ცხოვრების მანძილზე
ჯანმრთელობის ეკოლოგიური და სოციალური  დეტერმინანტები
არაგადამდები და იშვიათი დაავადებები
ინფექციური დაავადებები, მათ შორის სიღარიბესთან დაკავშირებული და უგულებელყოფილი დაავადებების
ინსტრუმენტები, ტექნოლოგიები და ციფრული გადაწყვეტილებები ჯანმრთელობისა და მოვლისთვის, პერსონალიზებული მედიცინის ჩათვლით
ჯანდაცვის სისტემები
 ინფორმაცია პოლიტიკაზე

კვლევის სფერო: ჯანდაცვა
მისიის სფერო: კიბო
ევროპული პარტნიორობის კანდიდატები ამ კლასტერში

**განაცხადი დაფინანსებაზე**

დაფინანსების შესახებ ყველა ინფორმაცია და დეტალები განაცხადის შეტანის შესახებ განთავსებულია დაფინანსებისა და ტენდერების პორტალზე

**სამუშაო პროგრამა**
ჰორიზონტი ევროპის ფარგლებში დაფინანსების შესაძლებლობები აღწერილია მრავალწლიურ სამუშაო პროგრამებში, რომლებიც მოიცავს ხელმისაწვდომი მხარდაჭერის საკითხებს.

ჯანმდაცვის სამუშაო პროგრამა

## კლასტერი 2: კულტურა, კრეატიულობა და ინკლუზიური საზოგადოება

**პოლიტიკა და სტრატეგია**
ეს კლასტერი მიზნად ისახავს გააძლიეროს ევროპული დემოკრატიული ღირებულებები, მათ შორის კანონის უზენაესობა და ფუნდამენტური უფლებები, დაიცვას ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა და ხელი შეუწყოს სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციებს, რაც ხელს უწყობს ინკლუზიასა და ზრდას.

ამ კლასტერის მოსალოდნელი ზემოქმედება მოცემულია ჰორიზონტ ევროპის სტრატეგიულ გეგმაში.

ინტერვენციის სფეროები
დემოკრატია
კულტურული მემკვიდრეობა
სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნები

ინფორმაცია პოლიტიკაზე
კვლევის სფერო: სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები

**განაცხადი დაფინანსებაზე**

დაფინანსების შესახებ ყველა ინფორმაცია და დეტალები განაცხადის შეტანის შესახებ განთავსებულია დაფინანსებისა და ტენდერების პორტალზე

**სამუშაო პროგრამა**
ჰორიზონტ ევროპის ფარგლებში დაფინანსების შესაძლებლობები აღწერილია მრავალწლიურ სამუშაო პროგრამებში, რომლებიც მოიცავს ხელმისაწვდომ მხარდაჭერის დიდ უმრავლესობას.

კულტურის, შემოქმედების და ინკლუზიური საზოგადოების სამუშაო პროგრამა

## კლასტერი 3: სამოქალაქო უსაფრთხოება საზოგადოებისთვის

**პოლიტიკა და სტრატეგია**

ეს კლასტერი პასუხობს გამოწვევებს, რომლებიც წარმოიქმნება უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მუდმივ საფრთხეებთან, მათ შორის კიბერდანაშაულთან, ასევე ბუნებრივ და ადამიანის მიერ გამოწვეულ კატასტროფებთან.

ამ კლასტერის მოსალოდნელი ზემოქმედება მოცემულია ჰორიზონტ ევროპის სტრატეგიულ გეგმაში.

**ინტერვენციის სფეროები**
კატასტროფებისადმი მდგრადი საზოგადოებები

დაცვა და უსაფრთხოება
კიბერუსაფრთხოება

**ინფორმაცია პოლიტიკაზე**

ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების კვლევა უსაფრთხოების კავშირის ერთ-ერთი სამშენებლო ბლოკია. კვლევა ამ კლასტერში მხარს უჭერს შემდეგ პოლისებს

- დანაშაულთან და ტერორიზმთან ბრძოლა (ორგანიზებული დანაშაულისა და კიბერდანაშაულის ჩათვლით)
- საზღვრის მართვა (მათ შორის, საბაჟო და საზღვაო უსაფრთხოება)
- მდგრადი ინფრასტრუქტურა
- კიბერუსაფრთხოება (მათ შორის ქსელის და საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოება და სერტიფიკაცია)
- კატასტროფებისადმი მდგრადი საზოგადოებები (მათ შორის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (CBRN) ინციდენტები; კლიმატთან დაკავშირებული რისკები და ექსტრემალური მოვლენები; გეოლოგიური კატასტროფები, როგორიცაა მიწისძვრები, ვულკანური ამოფრქვევები და ცუნამები; პანდემიები)

**განაცხადი დაფინანსებაზე**

დაფინანსების შესახებ ყველა ინფორმაცია და დეტალები განაცხადის შეტანის შესახებ განთავსებულია დაფინანსებისა და ტენდერების პორტალზე

**სამუშაო პროგრამა**
ჰორიზონტ ევროპის ფარგლებში დაფინანსების შესაძლებლობები აღწერილია მრავალწლიურ სამუშაო პროგრამებში, რომლებიც მოიცავს ხელმისაწვდომ მხარდაჭერის დიდ უმრავლესობას.

სამოქალაქო უსაფრთხოება საზოგადოებისთვის მუშაობის პროგრამა

## კლასტერი 4: ციფრული, ინდუსტრია და კოსმოსი

**პოლიტიკა და სტრატეგია**
კლასტერ 4-ის ფარგლებში შემოთავაზებული ინვესტიციების ძირითადი ხედვა არის ის, რომ ევროპა აყალიბებს კონკურენტულ და სანდო ტექნოლოგიებს ევროპული ინდუსტრიისთვის ძირითად სფეროებში გლობალური ლიდერობით, რაც საშუალებას აძლევს წარმოებას და მოხმარებას პატივი სცეს ჩვენი პლანეტის საზღვრებს და მაქსიმალურად გაზარდოს ბენეფიტები საზოგადოების ყველა ნაწილისთვის ევროპის სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ და ტერიტორიულ კონტექსტში.

ეს შექმნის კონკურენტუნარიან, ციფრულ,  ნახშირბადის დაბალი შემცველობის მქონე და წრიულ ინდუსტრიას, უზრუნველყოფს ნედლეულის მდგრად მიწოდებას, განავითარებს მოწინავე მასალებს და შექმნის საფუძველს მიღწევებისა და ინოვაციებისთვის გლობალურ გამოწვევების გადაწყვეტილებებისათვის, რომელიც დგას საზოგადოების წინაშე.

ამ კლასტერის მოსალოდნელი ზემოქმედება მოცემულია ჰორიზონტ ევროპის სტრატეგიულ გეგმაში.

**ინტერვენციის სფეროები**

- წარმოების ტექნოლოგიები
- ძირითადი ციფრული ტექნოლოგიები კვანტური ტექნოლოგიების ჩათვლით
- ახალი მოწინავე ტექნოლოგიები
- მოწინავე მასალები
- ხელოვნური ინტელექტი და რობოტიკა
- შემდეგი თაობის ინტერნეტი
- გაძლიერებული გამოთვლები და დიდი მონაცემები
- წრიული ინდუსტრიები
- დაბალი ნახშირბადის შემცველობის და სუფთა ინდუსტრიები
- კოსმოსი, მათ შორის დედამიწაზე დაკვირვება

**პოლიტიკა**

კვლევის სფერო: სამრეწველო კვლევები და ინოვაციები
კვლევის სფერო: კოსმოსი
ამ კლასტერის  ევროპული პარტნიორობის კანდიდატები

**განაცხადი დაფინანსებაზე**

დაფინანსების შესახებ ყველა ინფორმაცია და დეტალები განაცხადის შეტანის შესახებ განთავსებულია დაფინანსებისა და ტენდერების პორტალზე

**სამუშაო პროგრამა**

ჰორიზონტ ევროპის ფარგლებში დაფინანსების შესაძლებლობები ჩამოყალიბებულია მრავალწლიან სამუშაო პროგრამებში, რომლებიც მოიცავს ხელმისაწვდომ მხარდაჭერის დიდ უმრავლესობას.

ციფრული, ინდუსტრია და კოსმოსური სამუშაო პროგრამა

# კლასტერი 5: კლიმატი, ენერგია და მობილობა

**პოლიტიკა და სტრატეგია**

ეს კლასტერები მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას მისი მიზეზების, ევოლუციის, რისკების, ზემოქმედებისა და შესაძლებლობების უკეთ გაცნობიერების გზით და გახადოს ენერგეტიკისა და სატრანსპორტო სექტორები უფრო ხელსაყრელი კლიმატთან და გარემოსთან მიმართებაში, უფრო ეფექტური და კონკურენტუნარიანი, უფრო ჭკვიანი, უსაფრთხო და მდგრადი.

ამ კლასტერის მოსალოდნელი ზემოქმედება მოცემულია ჰორიზონტ ევროპის სტრატეგიულ გეგმაში.

**ინტერვენციის სფეროები**

- კლიმატის შემსწავლელი მეცნიერება და გადაწყვეტილებები
- ენერგომომარაგება
- ენერგოსისტემები და ქსელები
- შენობები და სამრეწველო ობიექტები ენერგო გარდამავალ პერიოდში
- საზოგადოებები და ქალაქები
- ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობა ტრანსპორტში
- სუფთა, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ტრანსპორტი და მობილურობა
- ჭკვიანი მობილურობა
- ენერგიის საცავი

**ინფორმაცია პოლიტიკაზე**

კვლევის სფერო: კლიმატის მოქმედება
კვლევის სფერო: ენერგეტიკა
კვლევის სფერო: ტრანსპორტი
მისიის სფერო: ადაპტაცია კლიმატის ცვლილებასთან, მათ შორის სოციალური ტრანსფორმაციის ჩათვლით
მისიის სფერო: კლიმატ-ნეიტრალური და ჭკვიანი ქალაქები

მოცემული კლასტერის ევროპული პარტნიორობის კანდიდატები

**განაცხადი დაფინანსებაზე**

დაფინანსების შესახებ ყველა ინფორმაცია და დეტალები განაცხადის შეტანის შესახებ განთავსებულია დაფინანსებისა და ტენდერების პორტალზე

**სამუშაო პროგრამა**

ჰორიზონტ ევროპის ფარგლებში დაფინანსების შესაძლებლობები ჩამოყალიბებულია მრავალწლიურ სამუშაო პროგრამებში, რომლებიც მოიცავს ხელმისაწვდომ მხარდაჭერის დიდ უმრავლესობას.

# კლასტერი 6: საკვები, ბიოეკონომიკა, ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობა და გარემო

**პოლიტიკა და სტრატეგია**
ეს კლასტერი მიზნად ისახავს გარემოს დეგრადაციის შემცირებას, ხმელეთზე, შიდა წყლებსა და ზღვაზე ბიომრავალფეროვნების შემცირების შეჩერების მიზნით და ბუნებრივი რესურსების უკეთ მართვას ეკონომიკისა და საზოგადოების ტრანსფორმაციული ცვლილებების გზით როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში.

ის უზრუნველყოფს საკვებისა და კვების უსაფრთხოებას ყველასთვის პლანეტის მასშტაბით ცოდნის, ინოვაციების და დიგიტალიზაციის გზით სოფლის მეურნეობაში, მეთევზეობაში, აკვაკულტურასა და კვების სისტემებში, რაც დააჩქარებს გადასვლას დაბალი ნახშირბადის შემცველობის გარემოზე, ეფექტურ წრიულ ეკონომიკასა და მდგრად ბიოეკონომიკაზე სატყეო მეურნეობის ჩათვლით.

მე-6 კლასტერში კვლევითი და ინოვაციური აქტივობები ხელს შეუწყობს ევროპის მწვანე პოლიტიკის მიზნებს, რომლებიც დაკავშირებულია ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასთან 2030 წლამდე, Farm to Fork სტრატეგიასთან, ევროპის კლიმატის პაქტისა და მდგრადი მრეწველობისა და დაბინძურების აღმოფხვრის ინიციატივებთან, ასევე  სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ხანგრძლივი ხედვასთან და მდგრადი განვითარების მიზნებთან.

ამ კლასტერის მოსალოდნელი ზემოქმედება მოცემულია ჰორიზონტ ევროპის სტრატეგიულ გეგმაში.

**ინტერვენციის სფეროები**

- გარემოზე დაკვირვება
- ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი რესურსები
- სოფლის მეურნეობა, სატყეო და სოფლის მეურნეობა
- ზღვები, ოკეანეები და შიდა წყლები
- კვების სისტემები
- ინოვაციური ბიოსისტემები ევროკავშირის ბიოეკონომიკაში
- წრიული სისტემები

**ინფორმაცია პოლიტიკაზე**
კვლევის სფერო: გარემო
კვლევის სფერო: ბიომრავალფეროვნება
კვლევის სფერო: გარემოზე დაკვირვება
კვლევის სფერო: სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და სოფლები
კვლევის სფერო: ოკეანეები და ზღვები
კვლევის სფერო: კვების სისტემები

მისიის სფერო: ადაპტაცია კლიმატის ცვლილებასთან, მათ შორის სოციალური ტრანსფორმაციის ჩათვლით
მისიის სფერო: ჯანსაღი ოკეანეები, ზღვები და შიდა წყლები
მისიის სფერო: ნიადაგის ჯანმრთელობა და კვება

ამ კლასტერში ევროპული პარტნიორობის კანდიდატებია

## განაცხადი დაფინანსებაზე

დაფინანსების შესახებ ყველა ინფორმაცია და დეტალები განაცხადის შეტანის შესახებ განთავსებულია დაფინანსებისა და ტენდერების პორტალზე

**სამუშაო პროგრამა**
ჰორიზონტ ევროპის ფარგლებში დაფინანსების შესაძლებლობები აღწერილია მრავალწლიან სამუშაო პროგრამებში, რომლებიც მოიცავს ხელმისაწვდომი მხარდაჭერის  უმრავლესობას.

სურსათის, ბიოეკონომიკის, ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამუშაო პროგრამა